№ 214. 10 ოკტომბერი, პარასკევი 1866—1880 10 ოკტომბერი, პარასკევი, № 214.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლორის-მელიქოვის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[illegible] „Дроэба" и „Иверіи"

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროება" და „ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უმტკიცოდ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენ[illegible]ზედ.

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს სამი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება" და „ივერია" ერთად

შვიდი მანეთი

ხ ე ლ ი ს - მ ო წ ე რ ა

**ბროსსეს**

სახელობის პრემიისათვის, რომელიც ფუძნდება საქართველოს ისტორიიდამ საუკეთესო თხზულებათათვის.

„დროების" რედაქციამ — 10 მან.

თ. ზაქარია ჭავჭავაძის საშუალებით ფასანაურში მოგროვილი — — — — 42 მ. 70 კ.

კ-ნა ქ. ბაგრატიონ მუხრანსკისაგან — — — — 15 მან.

სულ — 67 მ. 60 კ.

სიონის ქუჩაზედ, სახელოსნო სასწავლებლის გვერდზედ საეკლესიო სახლში გამოსვენებული არს წმ. ნინოს მოციქულის ლუსკუმა და სხვანი საეკლესიო განძნი—სამხილებლად, ორშაბათამდინ, დილის 10—3 საათამდინ. (3—1)

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 8 ოქტომბერს. „მმართებლობის მოამბეში" დაიბეჭდილია: რუსეთის ტახტის მემკვიდრე თავის მეუღლითა და შვილებით—მიხეილით და ქსენიით მშვიდობით მობრძანდნენ ლივადიაში. ხელმწიფე იმპერატორი იალტაში მიეგება ამათ ნავსადგურზე.

მმართებლობის განკარგულებით, გაზ. „როსსიას" აღეკრძალა ცალკე ნომრების გაყიდვა.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმ უფლებისა და მოვალეობის თაობაზედ, რომელიც ზოგიერთ გუბერნიების სარევიზიოთ დანიშნულ სენატორებსა უნდა ჰქონდესთ.

პარიჟი, 7 ოქტომბერს. ხელმწიფის მკვლელობის ბეჭდვით დაცვისათვის ფელიქს პიას გარდაუწყვიტეს 2 წლით საპყრობილეში ჩასმა და 1,000 ფრანკის ჯარიმის გარდახდა.

## „კავკაზ"-ის აზრი ქალაქის სკოლებზე.

ტფილისი, 9 ოკტომბერს.

ამ ორი კვირის წინათ ჩვენს ქალაქში გაიხსნა ქალაქის ხარჯით, მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებელი და ერთიც პირველ დაწყებითი სკოლა.

როგორც პირველ დაწყებით სკოლაში, აგრეთვე სახელოსნო სასწავლებლის პირველს კლასში, უმაღლესის მმართებლობისაგან დამტკიცებულის წესდების ძალით, სამი ცალკ-ცალკე განყოფილება არის გამართული: ერთი ქართველებისათვის, მეორე რუსებისა და მესამე სომხებისათვის; ქართველ ყმაწვილებს ქართულს ენაზედ უნდა ასწავლონ, სომხებს—სომხურად და რუსებს—რუსულად. რუსულ ენას ქართველებს და სომხებს შემდეგში ასწავლიან ისე, როგორც საგანს.

თუ უმაღლესმა მთავრობამ და კავკასიაში სწავლა-განათლების გამგემ დაამტკიცა ამ გვარი გონივრული პროგრამმა და წესი, წესი, რომელსაც ყველა ცოტაც არი ნასწავლი პედაგოგი ჭეშმარიტებად და კანონად სთვლის ახლა, საფიქრებელი იყო, რომ სხვა მოწინააღმდეგე ამ სამშობლო ენაზედ ყმაწვილების სწავლასა არავინ ამოუჩნდებოდა.

ესე იყო საფიქრებელი, მაგრამ ყოველთვის და ყველგან არ ხდება ხოლმე ის რაც საფიქრებელია, რაც ჭკუაზე ახლოსაა და მოსალოდნელი.

მოწინააღმდეგე და გამკიცხავად ამ გონივრულ პროგრამმისა ამ შემთხვევაში აღმოჩნდა გაზ. „კავკაზი".

ამ დარბაისელ გაზეთს უკვირს, რომ ხსენებულ ქალაქის სასწავლებლებში სწავლა სამშობლო ენაზე უნდა წავიდეს. ამ გვარად სწავლის წაყვანის მოუხერხებლობას გაზ. „კავკაზი" შემდეგის მახვილ გონებიან საბუთით ამტკიცებს:

„თუ დედა-აზრათ მიუღია ქალაქს, რომ ყმაწვილებმა უეჭველად სამშობლო ენაზედ უნდა მიიღონ პირველ დაწყებითი სწავლა, რატომ თათრული, ნემეცური, ფრანცუზული, ოსური, იტალიანური და სხვა განყოფილება არ გახსნაო თავის სასწავლებლებში,—განა არ შეიძლება, რომ თათრის, ნემეცის, ოსის და სხვ. შვილებიც შევიდნენ ამ სასწავლებლებშიო? იმათ რაღა დააშავესო?!"

თუ გინდათ ბრძნული მსჯელობა, აი სწორედ ეს არის. რატომ ბლომანჟე არა გაქვსთ, პურსაც ნუ მიირთმევთო! რატომ ხავერდის ქუჯეტკა არ გაცვიათ, შალის ჩოხასაც ნუ ჩაიცვამთო! რატომ სამას თუმნიან პალატში არ დგეხართ ნურც ათ თუმნიან სახლში დადგებით, სულ გარეთ ეგდევითო!

სწორედ ამისა ჰგავს „კავკაზის" მსჯელობა. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ქალაქს ყოველ ტომის ხალხის შვილებისათვის ცალ-ცალკე სასწავლებელი გაემართა; ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ სადა აქვს ამის საშუალება? სადა აქვს ქალაქს იმდენი შეძლება, რომ თითო-ოროლა მოსწავლე ყმაწვილისათვის განსაკუთრებული სკოლა გაემართა თავის ხარჯითა?

ქალაქმა გამართა სამ—განყოფილებანი სასწავლებელნი: ქართველებისა, სომხებისა და რუსებისათვის, რადგან ამ სამი ტომის წარმომადგენელი უფრო მომეტებული სცხოვრებენ ქალაქში და რადგან ყველას დაკმაყოფილებას უმრავლესობის დაკმაყოფილება ამჯობინა. თუ რამდენათ საჭიროა სასწავლებელი ქალაქში მცხოვრებ ქართველებისა და სომხებისათვის ამის დასამტკიცებელად საკმაო იქნება იმის მოყვანა, რომ ხსენებულ საქალაქო სასწავლებლებში მხოლოთ ორასი ვაკანსია იყო და მსურველების რიცხვმა კი ხუთასს გადაამეტა!

„კავკაზი" თანახმაა, პედაგოგია მოითხოვს, რომ ყმაწვილს თავის სამშობლო, ადვილად გასაგებ ენაზედ უნდა ასწავლონო. მაგრამ შეხედეთ იმის ლოღიკას: რადგან ამ პედაგოგიურ წესის ასრულებას სრულად და უნაკლულოდ ვერ ასრულებთ, ამიტომ სულ ნუ მიიღებთ მხედველობაში და მარტო ერთს ენაზედ (რასაკვირველია, რუსულზედ) ასწავლეთ ყველა ტომის ყმაწვილებსაო!

ჯერ ერთი ეს, რომ ქალაქის სასწავლებელში პედაგოგიური წესი უნაკლულოთ იქნება შესრულებული, რადგან თათრის, ნემეცის, ფრანცუზის და სხვა ტომის შვილებს არ მიიღებენ არცერთს განყოფილებაში, რადგან იმათ სამშობლო ენაზედ სწავლა ამ სასწავლებელში არ არის.

მეორე—ეს სადაური ლოღიკაა, რომ, რადგან სხვებს არ იღებთ, სხვებს ვერ ასწავლით სამშობლო ენაზედ, ნურც ქართველ და სომხის ყმარწვილებს ასწავლითო?!

ღმერთმანი, ახირებულადა აქვსთ ზოგიერთებს ტვინი მოწყობილი!

## ახალი ამბები

—

ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ამ დღეებში მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების თავმჯდომარე გრაფი უვაროვი გზაზე იმას გამოუვლია დარუბანდში და დაუვლია დაღისტანი, სადაც არხეოლოგიისათვის რამდენიმე ძვირფასი ნივთი და ზედ-წარწერები აღმოუჩენია.

ახლა გრაფი უვაროვი მიდის არმავირში არხეოლოგიურ გამოკვლევებისათვისვე და, როგორც შევიტყეთ, ყავს ბ. გიორგი წერეთელი.

გვითხრეს, რომ გრ. უვაროვმა კავკასიის სხვა ადგილებით უნდა დაიაროს და არხეოლოგიურის მხრით გამოიკვლიოს. თავის შრომისა და გამოკვლევის ნაყოფს გრაფი წარუდგენს იმ მეხუთე არხეოლოგიურ კრებას, რომელიც მომავალ 1881 წლის ენკენისთვეში იქნება ჩვენს ქალაქში.

* * *

მტკვრიდამ, მირზოევის ამერიკის ფაბრიკის მახლობლად, ამოიღეს ამ დღეებში ერთი სპარსელი კალატოზის ფალაბაშის დამღრჩვალი გვამი, რომელიც, როგორც ნამდვილად სჩანდა, ჯერ ძალად ყოფილა მოკლული და მერე წყალში ჩაგდებული. მარტო ნახევარი ზედა ტანი ნახეს, წელთან გადაეჭრათ და ამასთანავე ყელშიაც თოკი ჰქონია წაჭირებული. ამ საქმეზე გამოძიებაა დანიშნული.

* * *

ჩვენ ენახეთ ამ დღეებში წმ. ნინოსა და შუშანიკის სურათები, რომელიც ბ. საბინინს ამოუჭრევინებია თავის წიგნისათვის („მამათ ცხოვრება") ლეიპციღში. ჩინებულად არის ეს სურათები გაკეთებული. ისყიდება ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში.

* * *

ცხინვალიდამ გვაცნობებენ, რომ ამ მოკლე ხანში იქითკენ საშინელი სეტყვა ყოფილა და ბევრი სამუშევარი და ვენახები გაუფუჭებია.

* * *

ჩვენ მოგვივიდა ავტორის ტ—ე. ტერასტავაცატურიანცისაგან ახლად დაბეჭდილი და გამოცემული ორ მოქმედებიანი ფარსი—„კაპიშონი".

ურიგო ფარსი არ არის, სცენაზე წარმოსადგენათაც ძალიან კარგათ გამოდგება, რადგან ცოცხალი, ტიპიური პირები არიან გამოყვანილნი და სცენიკური მოძრაობაც არ აკლია. მხოლოთ ქართული ენით კოჭლობს ცოტათი, ერთობ არეულია სომხურთან, მაგრამ ფარსის ღირსებას ეს მაინცა-და-მაინც არ დააბრკოლებს.

* * *

სოფ. ომჩიდამ (ქუთაისიდამ 30 ვერსზე) გვატყობინებენ, რომ ამ სოფლის მრევლსა და ადგილობრივ ბლაღოჩინს ზ. ქ-ძეს შუა, ახალის ეკკლესიის აშენების გამო, რაღაც უთანხმოება მომხდარა და ამის გამო გაჯავრებულ ბლაღოჩინს ძველი ეკკლესია დაუკეტია ამ წლის 25 მარტს და მას აქეთ ამ სოფლის ხალხს წირვა-ლოცვა აღარ ღირსებია. არა თუ წირვა-ლოცვა, მას აქეთ ბევრი ისე მომკვდარა, რომ ბლაღოჩინს ზარეში არ მოუკარებია; არც ჯვარს სწერს არვისაო, არც ნათლავს და არც სხვა არავითარ საეკკლესიო წესს აღარ ასრულებსო...

* * *

ყაზბეგის სტანციიდამ გვწერენ 2 ოქტომბერს:

„ამ ორი კვირის წინათ სოფ. სტეფან-წმინდის ახლოს ერთმა მონადირემ ვეფხვი მოკლა. მონადირეს ორი ვეფხვი ენახა ერთად ჩახუტებულები, რომელთაგან გაქცეულიყო მთაში.

„შესანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ 6-7 წელიწადში ეს მესამე ვეფხი მოუკლავთ აქ იმისთანა გახრეკილ კლდეებში, სადაც ტყე წამლადაც არ მოიძევა."

კავკასიის მთებს გარდა, ვეფხი ჩვენს ქვეყანაში ზემო-იმერეთშიაც მოიპოვება.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ბ. ზაქ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული პატარა ისტორიული მონაგრაფია ბ. დიმ. ზაქ. ბაქრაძისა—„პონტის მეფე მიტრიდატ დიდი."

ეს მეოთხე ამგვარი ბროშურაა ბ. დ. ზ. ბაქრაძისაგან დაბეჭდილი საქართველოს ისტორიიდამ; პირველ ბროშურებზე ჩვენს გაზეთში იყო რამდენიმე სიტყვა მოხსენებული. ამასაც იგივე ღირსება და ცოტაოდენი ნაკლულევანება აქვს, რაც პირველებსა.

ბროშურა სუფთად, შნოიანად არის გამოცემული. ღირს იაფად—10 კაპ.

* * *

სიონის ქუჩაზე; საეკკლესიო სახლში ამ ჟამად დგას საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინოს კუბო (ლუსკუმა), რომელიც თ. გაგარინის მხატვრობით, და ბ. საბინინისაგან ხელის-მოწერით მოგროვილ ფულებით არის გაკეთებული და ამისგანვე ჩამოტანილი ჩასასვენებლად წმ. ნინოს გვამის ჩასასვენებლად, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ დასვენებულია სიღნაღის მახლობლად წმ. ნინოს ეკკლესიაში.

* * *

ყაზბეგის სტანციიდამ გვწერენ:

„დიფტერიტი ჩვენს მთაში, ღვთის მადლით შესწყდა. სოფ. ხნოს გარდა თერგის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებშიაც იყო, სადაც თითო-ოროლა ავათმყოფი არ ილეოდა; ეხლა კი მშვიდობიანობა არის.

„ექიმები, თითქმის ორი თვე არის, არ შორდებიან აქაობას და უვლიან სოფლებს; როგორათაც ექიმები, ისე თითონ სოფლელი გლეხებიც ძალიან მუყაითათ მოიქცნენ რომლის გამოც ასე მალე და მშვიდობითა ვრჩებით.

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიაც საექიმო მთავრობა უყურადღებოდ არ დააგდებს ამ ჩვენს მხარეს და დაგვინიშნავს სამუდამო ფერშალს მაინც (დოქტორს ხომ ვილა ეღირსება!) და გაგვიჩენს პატარა აფთიაკს, რომლითაც შეეძლებათ ისარგებლონ აქ მცხოვრებლებსა და მგზავრს.

„ამ ცოტა ხანებში გაზეთს „დროებაში" თითონ ჩვენი მაზრის ექიმმა აღიარა, რომ დიდი უეზდია და მართლათაც მაზრის ექიმს იმდენი საპოლიციო საქმეები აქვს, რომ წელიწადები გაივლის (თუ დიფტერიტსავით არა გამოვარდა-რა) არ მოსცალდეს აქეთ მოსახედავათა; მაშასადამე საჭიროება მოითხოვს, რომ მთას აქეთ მცხოვრებლებს გვყავნდეს ფერშალი და ბებია თავიანთის აფთიაკით. რადგანაც მთლათ ხევის სოფლები სოფ. სტეფანწმიდას ახვევია გარს და მცხოვრებთათვისაც უფრო ხელ-მარჯვეა, ამისთვის იმათ საცხოვრებლათ სოფ. ყაზბეგი უნდა იყვეს დანიშნული.

„იმედი გვაქვს, რომ ამ ადგილობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ჯეროვან გზას მისცემენ."

## „დროების" კორრესპონდენცია

ახალ-სენაკი, 4 სექტემბ. გუშინ წინ ძველ სენაკში მოხდა სამწუხარო შემთხვევა:

ორ მოსაზღვრეებს ბჟალავებს და ბულავებს ლაპარაკი მოუვიდათ ერთ ძირ ყურძნიან ხეზე. ერთიც იჩემებდა და მეორეც: „არა ჩემიაო და არა, ჩემიო. ბოლოს, საქმე იქამდის მიაწია, რომ წალდებს და ნაჯახებს წამოუსვეს ხელი და შეიქნა ერთი საზარელი ჩხუბი და სისხლის ღვრა: ერთი კაცი მოკვდა და სამი მძიმეთ დაიჭრა.

ოთხი მუშა და მოწიფული კაცი გაფუჭდა და მოაკლდა ჩვენ ქვეყანას! და მერე რისთვის? განა ერთი ძირი ხისთვის? არა, ერთ ძირ ხეს, ერთ კვალ მიწას ხუთ საჟენ ტყეს და სხვა და სხვა ამისთანაებს, რომლებისთვინაც ასე თავ განწირულად იკლავს თავს ჩვენი ხალხი, ჰქვიან ერთი საზოგადო სახელი გაუმიჯნაობა, და აი ეს გაუმიჯნაობა გახლავსთ მიზეზი უანგარიშო უბედურებისა ჩვენს საქართველოში.

ვისაც კი სოფელში უცხოვრია და დასწრებია ხვნა-თესვის დროს და სთველს, კარგათ იცის, რა ხშირია და გავრცელებული ჩვენში საზღვრებზე ჩხუბი და კაცის კვლა.

მთელს საქართველოში, ნამეტურ იმერეთში და სამეგრელოში ვერ შეხვდებით იმისთანა სოფელს, სადაც ან ხვნა-თესვის დროს, ან სთველის დროს არ მოხდეს ორ სამ ადგილს ჩხუბი და სისხლის ღვრა.

უბედურებაა რომ, ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არის დაწესებული იმისთანა სტატისტიკა, როგორიც სხვა განათლებულ ქვეყნებშია. სტატისტიკა რომ გვქონდეს, მაშინ ყველანი ცხადათ დავინახავდით, თუ რა უანგარიშო ხალხი კვდება და იჭრება საზღვრების უქონლობის გამო; მაშინ იქნება ყურები გამოგვებერტყა და რამე წამალი გვეშოვნა ამ საძაგელი ჭირისათვის. მაგრამ ვინც სირაქლემივით თავს არ მალავს და ორივე თვალებით იყურება, მისთვის სტატისტიკა მაინცა და მაინც არ არის საჭირო ამ საქმეში: იმან კარგათ იცის, თუ რამდენი კაცას სიცოცხლე ფუჭდება უდროვოთ მუდამ წელს. სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ საშუალოთ თითო დაჭრილი და მოკლული მაინც მოუვა თითოეულ სოფელს ნამეტურ იმერეთისაკენ და აბა იანგარიშეთ, თუნდაც ეს თითო.

ღმერთმა ნუ ინებოს ერთი რამ ჭირი რომ გვეწვიოს და ამოწყვიტოს 300-400 კაცი, ჩვენს ყვირილს და „გვიშველე"-ს ძახილს აღარ ექნება დასასრული, და გაუმიჯნაობა რომ მუდამ წელს რეგულიარად გვართმევს ამოდენა ხალხს ეს კი არაფერი! ყურსაც არავინ იბერტყავს. ღმერთმანი, თუ ცოტა არის მაინც ხმა არ ამოვიღეთ და მართებლობას არ შევსთხოვეთ, რომ მალე გაგვიმიჯნოს ადგილები, თქვენი მტერია, ჩვენი ისედაც შევიწროებული და არა მრავალი ხალხი, კიდევ უფრო შევიწროვდეს და დაპატარავდეს.

ეხლა ერთი ეს მინდა ვიკითხო, ვისი ჯერი და მოვალეობაა ამ საქმეში ხმის ამოღება? ვინ არიან ის პირნი, რომელთაც ჰქვიან ხალხის წარმომადგენელნი პირნი და რომელთაც უნდა იღვაწონ ხალხის კეთილ დღეობისათვის? ესენი გახლავან ღუბერნიის და უეზდის წინა მძღოლნი და უეზდის უფროსები. თქვენ ბატონო წინამძღოლნო, და თქვენ, ბატონო უეზდის უფროსებო, თქვენი პირდაპირ მოვალეობაა იშუამდგომლოთ უმაღლეს მთავრობასთან, რაც შეიძლება მალე მოხდეს გამიჯვნა ჩვენს ქვეყანაში და მით აგვცილდეს მრავალი კაცის უდროვოთ სიკვდილი. თუ ამისთანა უბრალო საქმეში ხმა ვერ ამოგვიღიათ და ვერ ახერხებთ შუამდგომლობას, მაშ უფრო დიდ გაჭირვებაში რაღა იმედი უნდა ჰქონდეს თქვენი ხალხს?

ხმიერიძე.

---

სტ. კობი, 1 ღვინობისთვეს. მოარული ყელის ტკივილი (დიფტერითი), რომელიც არსებობს კავკასიის მთებში, სოფელ ხნოს და იმის გარეშემო, ამ ჟამად სუსტდება ასე, რომ ამისაგან სეკტემბრის შვიდიდამ აღარავინ მომკვდარა. გარდა ამისა რიცხვი ავათმყოფებისა თან და თან მცირდება და დღეს მეხუთე დღე არის, რაც ამ სნეულობით აღარავინ გამხდარა ავათ.

თუ ამ სიცივეებზედ და თოვლზედ რომელიც დღეს მოვიდა აქა და მთაზედა, არ განძრიელდა ეს სნეულება, იმედი არის, რომ მალე სრულიათ მოისპობა.

თუმცა ამ გვარი სნეულება ძრიელ საშიში და საზიანო არის ხალხისათვის, მაგრამ ამ მხარეს დიდი ძალა ვერ გამოიჩინა, რაიცა უნდა მიეწეროს ამ ადგილის კარგს ჰავას და მთავრობის შემწეობას, რომელიც არა ზოგავს ყოველ საშუალებას ამ სენის მოსასპობლათ. სისუსტე ამ მოარულის სენისა სჩანს აქედანა, რომ ივლისის ნახევრიდან ვიდრე დღევანდლამდინ გამხდარან ავათ სულ 53 სული, რომლისაგანაც დახოცილან მხოლოდ 12; დანარჩენნი მორჩენილან. ამას იქით რა იქნება ღმერთმა იცის.

ნ. ჩიგიანი.

---

ფოთი, 8 ოქტომბერს. მომავალი ნოემბრის თვის პირველს აქ გაიხსნება მენავეობის კლასსი (**классъ мореходства**), რომელიც თანახმად 1867 წ. 27 ივლისს უზენაესად დამტკიცებულის დებულებისა მენავეობის კლასსებზე, ფოთის საზოგადოების პირ-და-პირს გამგეობაში იქნება. ფოთის საზოგადოება ყოველ წლივ 600 მ. სწირავს ამ კლასის შესანახავად, რომელიც უმთავრესად ზღვის ნაპირის მცხოვრებლებისათვის არის გახსნილი.

ამ კლასში მიიღებიან შინიდამ მავალ შაგირდებად ყოველ წოდებისა და ხნის მსურველები, მხოლოდ შემდეგ მოთხოვნილებათა კი უნდა აკმაყოფილებდნენ:

ა) წერა-კითხვა უნდა იცოდნენ;

ბ) უნდა ჰქონდეთ მოწმობა, რომ იმათ უცურვიათ გემებით და

გ) თავიანთი პიროვნების და შთამომავლობის მოწმობა.

კლასში სწავლისათვის შაგირდებს ფული არ გადახდებათ, იმ შემთხვევათა გარდა, როცა საზოგადოება საჭიროდ დაინახავს იმის პროგრამმაში ახალი საგნების შემოღებას, რომელსაც, რასაკვირველია, ახალი ხარჯიც დასჭირდება. კლასსის სპეციალური საგნების პროგრამმა თითქმის სჭარბობს გიმნაზიის პროგრამმის ამ გვარივე საგნებს.

ამ მენავეობის კლასსის უმთავრესი საგანი გახლავთ—ნავტურების (**шкиперъ**) და მესაჭეთა (**штурманъ**) მომზადება შავსა და აზოვის ზღვებში კომმერციულ გემზე ნავოსნობისათვის. მაგრამ, რადგანაც ამათ მოსამზადებლათ მარტო თეორეთიკური სწავლა კლასში საკმაო არ იქნება და პრაქტიკულ სწავლასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, ამიტომაც, ზემოხსენებულ დებულებისვე თანახმად, კლასში სწავლა გაგრძელდება ზამთრის ოთხს თვეს და დანარჩენ დროს შაგირდები ვალდებულნი იქმნებიან აფრის და ორთქლის გემებზე შეეჩვიონ ნაოსნობას.

კლასში კურსის გათავებისათვის განსაზღვრული დრო არ არის დადებული,—ეს შაგირდების ნიჭზე და მასწავლებელთ ერთგულებაზეა დამოკიდებული. ვინც ამ კლასს გაათავებს, და ნავტურის და მესაჭის წოდებას მიიღებს, და სავაჭრო გემებზე იმსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურებს იმას ადგილობრივის მთავრობისაგან დრო განუსაზღვრელი ბაშფორთები მიეცემა და გადასახადს არ მოსთხოვენ, სანამ ზემოხსენებულს სამსახურში იქნება.

ჩემის აზრით, ამ მენავეობის კლასში სწავლის მსურველნი ბევრნი აღმოჩნდებიან ქართველთ შორის.

ამ კლასში კურს დასრულებულ შაგირდებს რომ არ გაუჭირდესთ თავიანთ ხელობის შესაფერ სამსახურში შესვლა სავაჭრო გემებზე, საზოგადოებამ ჩინებული ღონის ძიება მოიპოვა:

„რუსეთის სავაჭრო ნაოსნობის ფოთელ განყოფილების" ხელმძღვანელობით აქ დაარსდა „პაის პატრონთ ამხანაგობა", რომელიც გემებს იძენს თავის პაიებით. ამ საზოგადოებამ კანონად დასდო, რომ თავის გემების მმართვა, უმთავრესად, ფოთის მენავეობის კლასში აღზრდილებს მიანდოს.

ეჭვი არ არის, რომ ეს საზოგადოება წარმატებაში შევა, (რადგანაც ფოთის ნავთსაყუდელის კეთება თითქმის თავდება) და იმის გემებზე სამსახური ერთობ სასარგებლო იქნება.

თ. ლეხნიცკი

# ნარკვევი

—

*** თან-და-თან მცირდება კლასიკურ განათლების სისტემის თაყვანისმცემელთ დასი და ძალა ემატება რეალური სისტემის მიმდევართ. ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს ბრიუსელის კონგრესსი, რომლის ერთს სხდომის დროს ყოფილა ცხარე ბაასი ზემოხსენებულ სისტემების თაყვანისმცემელთა და მიმდევართ შორის. ბაასის მიზეზი ყოფილა რუსეთის წარმომადგენელი ბ. ზეზენი, რომელსაც ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს კლასიკურის სისტემის დასაცველად. ამ ბატონის აზრით,

„საშუალო სასწავლებლები ერთ-რიგი უნდა იყოს ყველასთვის, რადგანაც ამ სასწავლებელთა საგანი არის განათლება კაცისა, ვინც უნდა იყოს ის; ინჟინერი თუ ტეხნიკი, ადვოკატი თუ ექიმი; და რადგანაც კაცად-კაცის შექმნა კლასსიკურს სისტემას შეუძლია, ამიტომაც უეჭველია, რომ ყველა საშუალო სასწავლებლები კლასსიკური უნდა იყვნენ."

გარდა ამისა, ბ. ზეზენს თავის აზრის დამამტკიცებელ საბუთად მიუთითებია რუსეთზედ, სადაც „ათი წელიწადია მას აქეთ, რაც ეს აზრი საქმით აასრულესო" (რა ნაყოფი მოიტანა, ამაზე კი არაფერი უთქვამს) და მოუხსენებია კონგრესზე დამსწრე რამდენიმე პედაგოგები, რომელნიც, მისის სიტყვით), კლასსიკურის სისტემისაკენ იყვნენ. მაგრამ, მისდა გასაოცრად, ამ პედაგოგებმა იქვე გამოაცხადეს, რომ ისინი ხელს იღებენ კლასსიკობის მომხრეობისაგან!

რეალური სისტემის დამცველთ შორის სხვაზე უფრო ყურადღება მიუქცევია ბრიუსსელის პროფესსორს პრინცს, რომელსაც სხვათა შორის უთქვამს:

„ამბობენ იდეალს მარტო კლასსიკები იცავენო და რეალისტები კი ერთობ უტილიტარულ თაობას შეადგენენო. ეს ხან-და-ხან თუ კიდეც მართლდება, ამის მიზეზნი კლასსიკები არიან. კლასსიკების იდეალი ერთი რაინდის (როლანდის) ტაიპსა ჰგავს, რომელსაც ყველა თვისება ჰქონდა, მაგრამ... მკვდარი იყო.

„— ეგ სიცრუეაო", გაცხარებით წამოუძახნია კლასსიკურის სისტემის მომხრეს და კრების თავმჯდომარეს.

„ეს კი არა, თქვენი იდეალი გახლავთ სიცრუე და ჩამკვდარი; ჩვენ გვსურს იგი შევცვალოთ წრფელის და ცოცხალის იდეალითო—მიუგია პრინცს. ეხლანდელი თაობა შეიძლება ერთობ უტილიტარული მიმართულების იყოს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იგი კლასსიკურის სისტემითაა აღზრდილი. იგი რვა წლის განმავლობაში იმისთანა საგნებს სწავლობდა სკოლაში, (ბერძნულს და ლათინურს ძველს ენებსა და მწერლებს), რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ცხოვრებასთან; რასაკვირველია, სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ, იმან დაივიწყა ეს საგნები და, ბუნებითის წინააღმდეგობის ძალით, მხოლოდ საპრაქტიკო საგნებს შეუდგა. ამისთანა მდგომარეობის მოსასპობად, განათლების ჰუმანიტარული სისტემა უნდა შევათანხმოთ ჩვენის საუკუნის თვისებას და საქმეში გამოსაყენებელ მეცნიერებათა, რომლებზედაც არავითარი ცოდნა არ ჰქონიათ ძველ ბერძნებს და რომაელებს. ამისთვის მსხვერპლად უნდა შევწიროთ კლასსიკური ენები. ფრანცუზული, ინგლისური და ნემეცურიენები ბევრად უფრო სასარგებლოა ლათინურსა და ბერძნულზე, რადგანც იმათ აქვთ მდიდარი მწერლობა, დიდებული ცივილიზაციის ციაგი და გულის აღმძვრელის გრძნობების გამოთქმა. განა ბორკის სიტყვები ციცერონის სიტყვებზე უარესნი არიან? განა შექსპირი, გოტე და შილლერი ბერძნების და რომაელთა პოეტებს ჩამოუვარდებიან? წარმოიდგინოთ ორი კაცი, რომელთაგან ერთმა მხოლოდ ლათინური და ბერძნული იცოდეს და მეორე მარტო ახალ დროების გენიალურ ნაწარმოებათა მცოდნე იყოს. რასაკვირველია, მეორე გადააჭარბებს პირველს, რადგანაც იგი აღზრდილია ჩვენს სახელოვან მამათ სულითა და გულით, ერთის სიტყვით, ყველაფრითა, რაც კი საუკეთესო ნაწარმოებია ჩვენს ევროპაში."

კონგრესსი ხანგრძლივის ტაშით მიეგება ამ მშვენიერის და გონივრულის სიტყვის დაბოლოვებას.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** „ჰავასის სააგენტოს" სიტყვით საფრანგეთის მინისტრების რჩევას გადაუწყვეტია რაც შეიძლება მალე აასრულონ სამღვდელოების აღკრძალულ საზოგადოებათა (კონგრეგაციების) შესახებ 29 მარტს გამოცემულნი დეკრეტები.

—

საფრანგეთიდამ განდევნილ იეზუიტებს შემდეგი ხრიკი მოუგონიათ თავიანთ მოქმედების განგრძობისათვის საფრანგეთშივე: გაუხდიათ სამღვდელო სამოსელები და საერო ტანისამოსით, ვითარცა ერის კაცები, დაბრუნებულან საფრანგეთში და ხელახლავ დაუღიათ თავიანთი სკოლები. ამ ხრიკის ჩასაშლელად სახალხო განათლების მინისტრი ჟიულს-ფერი თურმე აპირებს „კურსის დასრულების მოწმობის" შემოღებას, რომელიც წინადაც არსებობდა საფრანგეთში. ეს მოწმობა მოეთხოვება სამსახურში შემსვლელებს. ამისთანა მოწმობის მიცემის ნება ექნებათ სახელმწიფო სასწავლებლების გარდა იმ რიგ კერძო სასწავლებელთაც, რომლების დირექტორებათ და უფროს მასწავლებლებათ უნივერსიტეტების დიპლომებიანი კაცები იქნებიან. ამ გვარ დიპლომების მიცემა მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტებს.

—

ავსტრიის ნემენცებს თეატრი გაუხსნიათ პეშტში, მაგრამ ვენგრიელ პატრიოტებს პირველ წარმოდგენის დროსვე იმისთანა აყალ-მაყალი მოუხდენიათ, რომ ნემენცები იძულებულნი ყოფილან თეატრი დაეხურათ.

—

ამ თვის სამს დიდის ამბით და ვილჰელმის თან-დასწრებით უკურთხებიათ კელნის სობორო.

—

ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" ამბობს, რომ ევროპას არ უნდა ჰსურდეს საბერძნეთის გულისათვის ძალა დაატანოს ოსმალეთსო. თუ ვინიცობაა საბერძნეთმა თვითონ დაიწყო თავის საზღვრის საქმის გადაწყვეტა, ამით იგი ვერც ევროპის თანაგრძნობას დაიმსახურებს და ვერც თავის საქმეს გაარიგებს, რადგანაც ამისათვის საკმაო ძალა არა აქვს.

—

ყანდაარიდამ იწერებიან, ეიუბ-ხანი ძლიერს მხედრობას აგროვებს ინგლისელებზე თავს-დასასხმელადო. ამ მხედრობის შეგროვების საქმე თურმე ერთობ კარგად მიდის. მთელი ავღანის გვარტომობანი თანაუგრძნობენო ეიუბს, რომელსაც საგვარტომო გმირად სთვლიანო.

—

„რუსკი კურიერის" პარიჟელი კორრესპონდენტი, სხვათაშორის, იწერება:

„აქაურს სალიტერატურო ახალ ამბებს შორის ყურადღების ღირსია ფელიკს პიის გაზეთი *La Commune.* ფელიქს პიას სურვილია, რომ მუშები მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტში. ეს სურვილი იმისთანა არ არის, რომ იმის გამო კომუნის ხსენება იყოს საჭირო. მოგეხსენებათ ამ რიგივე სურვილი აქვთ მრავალ ბონაპარტისტებსაც. თეორეტიკულის მხრით, მართალი მოგახსენოთ, უცნაური ჰსუფევს ფელიქს. პიას თავში და თუ მისს გაზეთს რაიმე გავლენა აქვს, ეს უნდა მიეწეროს იმ ცოცხალ და მდაბიო ენას (ხშირად ლანძღვ გინებით შეკმაზულს), რომლითაც მისი გაზეთი გამოიცემის. ერთმა მისმა თანამშრომელმა მითხრა, ეს გაზეთი 35,000 ეგზემპლიარი გადისო. *Commune*-ის შემდეგ როშფორის გაზეთს მაზანდა წაუხდა."

## წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ბატ. ზაქარია ჭიჭინაძემ საზოგადოების ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შემოსწირა:

1) **ენციკლოპედია**, რუსულიდამ გადმოთარგმნილი ბ. ჩუბინოვის მიერ 1823 წელში, პეტერბურღში დაბეჭდილი.

2) **ორი ვერონელი აზნაური**, შექსპირის დრამმა. ნათაგმნი დიმიტრი ყიფიანისაგან.

3) **ნაოხარი სოფელი**, პოემა ივ. კერესელიძისა.

4) **საკითხავი წიგნი**, ივ. კერესელიძისა.

5) **მოგზაურობა**, ტიმოთე მთავარეპისკოპოზისა.

6) **ივანეს საუბარი გლეხებთან**, აგრონომია ვართანოვისა.

7) **ქართული ენისათვის**, ალ. ორბელიანისა.

8) **ცხენის კარაბადინი**, დაბეჭდილი 1826 წელში.

9) რუსული გაზეთი „**კავკაზის**" ბროშურა 1661 წ., ერთი წიგნი.

10) გაზეთი „**დროება**" 1877,78 და 79 წლის ნომრები.

11) ზოგიერთა „**დროების**" ნომრები 1872—76 წლამდის.

12) 73 ნომრები „**სასოფლო გაზეთისა**" 1869—77-მდის.

13) რვა ნომერი „**გუთნის დედისა**" 1876 წ.

45) „**ცისკარი**" 53 ნომრები 1852—74 წლს.

16) „**სასულიერო მახარებელი**" 11 ნომრები 1864—68 წ.

17) „**საქართველოს მოამბე**" 1 ნომერი 1863 წ.

18) „**მნათობი**" 14 ნომრები 1863—72 წლის.

საზოგადოების ახალი ადრესი:

**Тифлисъ. Канцелярія распространенія грамотности. саперная улица № 41.**

# განცხადებანი

—

**ქუთაისის სააზნაურო სასწავლებელში მიღებულ იქმნენ წელს ენკენისთვეში:**

1) ალავიძე სევერიან - შორაპნის ნის მაზრიდამ.

აბაშიძე იოსებ შორაპნის მაზრ.

ასათიანი გიორგ. ლეჩხ. მაზრ.

აჯალიანი დავით ქუთ. მაზრ.

ამაღლობელი ლევან. ქუთ. მაზრ.

ასათიანი ნიკიფორე. ქუთ. მაზრ.

აგაშვილი ბესარიონ. ქუთ. მაზრ.
ამაშუკელი ივანე. შორაპნის მაზრ
ასათიანი, სამსონ. სენაკას მაზრ.
10) აბაშიძე თეოფილე. შორ. მაზრ.
ამირეჯიბი რუბელ. ქუთ. მაზრ.
ალშიბაია გიორგი. ზუგდი. მაგრ.
ათაბაგი ნიკოფორე. ქუთ. მაზრ.
ალავიძე მიხაილ. შორ. მაზრ.
აგიაშვილი ილია ქუთ. მაზრ.
აბდუშელიშვ. დავით შორ. მაზრ.
აბაშიძე სიმონ. შორ. მაზრ.
ანთელავა გიორგი. ზუგ. მაზრ.
20 ანთელავა ვარდენ. ზუგ. მაზრ.
ასათიანი გრიგორ. ლეჩ. მაზრ.
აბდუშელიშ. ყარამან შორ. მაზრ.
აგიაშვილი ალექსან. ქუთ. მაზრ.
ბაქრაძე მიხაილ. რაჭ. მაზრ.
ბარათაშვილი დავით შორ. მაზრ.
ბაქრაძე ვიკტორ. რაჭის მაზრ.
ბაქრაძე დიმიტრი. შორ. მაზრ.
ბექუაშვილი სვიმონ. შორ. მაზრ.
ბოცირიძე ალექსან. შორ. მაზრ.
გამყრელიძე კოსტანტინე. ქუთაისის მაზრ.
გრიგოლაშვილი მაქსიმე, ქუთაისის მაზრ.
გამყრელიძე სოლომონ. ქუთ. მაზრ.
გუნცაძე ილია. შორაპ. მაზრ.
გოგორიშვილი ნესტორ. ქუთ. მაზ
გრიგოლაშვილი ნიკოლოზ ქუთ. მაზრ.
გაბუნია ივანე. ლეჩხ. მაზრ.
გოთუა მელიტონი. ოზურ. მაზრ.
გოთუა პართენ. ოზურ. მაზრ.
ერისთავი მიხაილ. რაჭ. მაზრ.
ერისთავი ლევან. რაჭ. მაზრ.
ერისთავი ალექსანდრე. ქუთ. მაზ.
თაყაიშვილი იუსტინე.. ოზ. მაზრ.
იაშვილი ვლადიმერ. შორპ. მაზრ.
კანდელაკი გრიგოლ. ქუთ. მაზრ.
კახიანი ნესტორ. ქუთ. მაზრ.
კახიანი ალექსი. ქუთ. მაზრ.
კლდიაშვილი ანდრია. ქუთ. მაზრ.
კახიანი ივანე. ქუთ. მაზრ.
ლორთქიფანიძე იოსები. ქუთ. მაზ.
ლორთქიფანიძე ვირლამი. ქუთაისის მაზრ.
ლომინაძე ალექსანდრე. ქუთ მაზ.
ლორთქიფანიძე ნიკოლოზ. ქუთ. მაზრ.
ლორთქიფანიძე სარდიონ. ქუთაისის მაზრ.
ლორთქიფანიძე ბესარიონ. ქუთ. მაზრ.
ლორთქიფანიძე ივანე. ქუთ. მაზ.
ლორთქიფანიძე ილია. ქუთ. მაზრ.
ლომინაძე მიხაილ. ქუთ. მაზრ.
ლორთქიფანიძე თედორე ქუთაისის მაზრ.
ლორთქიფანიძე ბარნაბა. ქუთ. მაზ.
მდივანი ალექსანდრე. ქუთ. მაზრ.
მიქაბერიძე პიმენ. ქუთ. მაზრ.
მიქაბერიძე კოსტანტინ. ქუთ. მაზ.
მაჭავარიანი სიმონ. შორ. მაზრ.
მიქელაძე მიხაილ. ქუთ. მაზრ.
მდივანი გრიგორი ქუთ. მაზრ.
მდივანი მიხაილ ქუთ. მაზრ.
მესხი იოსელ. ქუთ. მაზრ.
მდივანი სიმონ. ლეჩხ. მაზ.
მაჭავარიანი ვიქტორ შორ. მაზ.
მაჭავარიანი დიმიტრი. შორ. მაზ.
ნაჭყებია ვლადიმერ. ზუგ. მაზრ.
ნიჟარაძე სერაფიონ. ქუთ. მაზ.
ნიქაბერიძე მინა. ქუთ. მაზრ.
ნიჟარაძე მინა. ქუთ. მაზრ.
ოლენტი კლიმენტი. შორ. მაზ.
ორქოლაძე სიმონ. ქუთ. მაზრ.
როინიშვილი ერმალოზ. ქუთ. მაზ
ტყავაძე იევერიან. ქუთ. მაზრ.
ტყეციაშვილი ანდრია. ზუგ. მაზრ.
ფალავა ივლიანე. სენაკ. მაზრ.
ფალავა სარდიონ. სენ. მაზ.
ქუთათელაძე ვარლამ. ქუთ. მაზრ.
ღოღობერიძე ავქსენტი. ქუთ. მაზ.
ყიფიანი სერგეი. ქუთ. მაზრ.
ყიფიანი ნესტორ ქუთ. მაზრ.
შათირიშვილი სევასტი. ქუთ. მაზ.
შერადენიძე პლატონ. ქუთ. მაზრ.
შერადენიძე ევსილონი. ქუთ. მაზ.
შალიკაშვილი კლეონიკ. ოზ. მაზ.
ჩინჩალაძე კირილე. შორ. მაზრ.
ჩიქვანი აპოლონ. სენ. მაზრ.
ჩხეიძე ალექსი ქუთ. მაზრ.
ჩახუნაშვილი პიმენ. ქუთ. მაზრ.
ჩარკვიანი ვლადიმერ. ქუთ. მაზრ.
ჩხეიძე ექვთიმე ქუთ. მაზრ.
ჩარკვიანი დავით ქუთ. მ.
ჩხეიძე ზაქარია ქუთ. მ.
ჩხეიძე ივანე ქუთ. მაზრა.
ჩხეიძე იოსებ. ქუთ. მაზრ.
100) ჩიქვანი ტერაფონ. სენ. მაზრ.
წერეთელი ნესტორ. შორ. მაზრ.
წერეთელი ილია. შორ. მაზრ.
წერეთელი ანემბოდისტე. შ. მაზრ.
წერეთელი კოსტანტინ. შორ. მაზრ.
ჭიჭინაძე ივანე. რაჭის მაზრ.
ჭიჭინაძე სტაქო. ქუთ. მაზრ.
ჭაჭიაშვილი ვლადიმერ. შორ. მაზრ.
ჭაჭიაშვილი ვიქტორი. შორ. მაზრ.
ხვადაძე ვლადიმერ. ქუთ. მასრ.
ხვადაძე ნაპოლეონ. ქუთ. მაზრ.
ხიდიბეგიშვილი კონდრატი შ. მ.
ხვიტია ალექსანდრე. ზუგ. მაზრ.
გუგულაშვილი ვიქტორ. ქ. მაზრ.
თაყაიშვილი მიხაილ. ოზურ. მაზრ.
ნიჟარაძე სერაპიონ. ქუთ. მაზრ.

---

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება** სთხოვს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა დაესწრონ თბილისის სახალხო სკოლის გახსნას სამშაბათს, 14 ოქტომბერს, დილის 11 საათზე.

შკოლა იმართება საპერნის ქუჩაზე, 41 №-ში, ბაბანასოვის სახლებში.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს იმ მშობელთა, რომელთაც განაცხადეს სურვილი შვილების შემოყვანისა ამ სკოლაში, მობრძანდნენ თავიანთი შვილებით ამ სკოლაში, ზემოთ დანიშნულ დროს. 3—2

---

### პატენტიანი შრომები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საწურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუყ; მთვრალის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—67)

---

## ვიღებ
### ეკკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის მოწყობილების ჩუქურთმას მოსაჭრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის ქუჩაზედ, ბერძენოვის სახლში, № 18

კანკელისა და მებელის ჩუქურთმის მჭრელი

დავით ივანეს-ძე გიგაური.

(10—2)

---

### სავაჭრო სახლი
## იაგორ ქასუმოვი და ამხ.

უმორჩილესად სთხოვს პირველ და მეორე ხარისხის პაისჩიკებს მობრძანდნენ მთავარ კანტორაში ამხანაგობის ნამდვილ პაების მისაღებად იმ მოწმობის მაგივრად, რომელიც იმათ დროებით ჰქონდათ მოცემული.

კანტორა იმყოფება ერევნის მეიდანზე, ჯაყელის სახლებში და გაღებულია ყოველ დღე დილის 9 საათიდამ ნაშვაღლევის 2 საათამდინ, უქმე დღეებში კი დილის 9 საათიდამ 11-მდინ. (5—2)

---

სოლოლაკზე, სადოვის ქუჩაზე, მელიქოვის სახლში, № 43 არის

გასაქირავებელი
## სადგომი

**ხუთი ოთახი**, თავის სამზარეულოთი, სარდაფით და სხვა მოწყობილობით.

---

ქირავდება წელიწადში ოთხასორმოცდა-ათ (450) მანეთად. დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან იქვე, სახლის პატრონთან.

5—4

---

### მედიცინის ექიმი
## იაკუბოვიჩი

იღებს ვენერიულ ავათმყოფებს სამშაბათობით დილის 11 საათიდამ 12 საათამდინ.

ადრესსი დოქტორისა: გალავინის პროსპექტი, თ. ივ. მუხრანსკი სახლი.

(6—3)

## ახალი გამოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

„ფილიპოვიჩის და ამხ.“ ფოტოგრაფიისა

(საგანგებოდ აშენებულს სახლში)

გოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი თფილისის კრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ საღამოს 8-მდე.

10—10

---

**ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.**

(20—7)

---

**На Сіонской улипѣ, рядомъ съ Ремесленной школы, въ церковномъ домѣ, доставлена гробница св. Нины. Желающіе могутъ видѣть отъ 10—3 ч. пополудни—до понедѣльника.**

(3—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება




[გამოცემული ი. დავითაშვილისა და ვარდენ გოცირიძისაგან.]

### ფასი ორი შაური

**ისყიდება** შემდეგ ალაგებში: თფილისში—გრ. ჩარკვიანის და სხვები წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში—ზერარდის წიგნის მაღაზიაში. გორში—ტატო დოთიაშვილის საბაყლო დუქანში. თელავში—კირილე ჯაჭვაძესთან (აფთიაქში). ონში (რაჭაში) თ. ერმილე მიქელაძესთან და საგარეჯოს—სასოფლო დეპოში. (6—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Октября 1880 г. Типографя Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი